ივანე. ჰაჰაი, შენი ქირიმე, დიდი კაცი ყველგან დიდია. კარებმაც-კი ვერ დაგეტიათ. (მოეშველება, მაგრამ ვერც აქვთ გამოჰყავს, ვერც უკან. **მაქსიმე** მეორე კარის გაღებას ცდილობს, მაგრამ არ იღება)

თეიმ. იიმე... იიმე... იიმე... ჰა, ივანე, ასე უნდა ვიყო გა...გაკვებულნი?

ივანე. ნაბადი შეიძებერ, ჩემო ხემწიფე, და მეცე უფრო შამეეტევი.

თეიმ. იიმე... იიმე... ივანე! ვერ მევიძებრე, თვარა კაი დაგემართოს. ხელები და თეძოები გაკვებებული მაქ. ღორი რო გევიკვებება ღობეში, ივანე, ღორი, ისე ვარ გა...გაკვებულნი.

ივანე. (მაქსიმეს) შენი სახელი, ჩემო? **მაქსიმე**. მაქსიმეა.

ივანე. ოო, ჩემო მაქსიმე! მომეხმარებ, ღმერთი შენ მოგეხმარება, ორივემ გამოგესწოთ და გაშეეტევა. (ორივე ეწევა ნაბადში. ივანე ცალფეხს კარს მიაბჯუნს და ისე ეხადება. თეიმურაზი უნებამთავრად კარებში, მაქსიმე და ივანე თავს ვეღარ შეიკავებენ და დაეცემან; თეიმურაზიც ზედ დაეცემა)

თეიმ. ოოხ, ოოხ, თქვე... თქვენი... ოჯახი კი დააქცია ღმერთმა, თქვენი ოჯახი. მომკალით ამხელა კაცი. (ივანე და მაქსიმე წამოხტებიან და წამოაყენებენ თეიმურაზს)

ივანე. (თეიმურაზს დივანზე სვამს) მოგიკვდა ჩემი თავი, ჩემი საწყალი თავი, ჩემო ბატონო! ეს რა ღმერთი გამოიწურა და ცოდე გამიდიდა! (ნაბადს მოსხნის) ხომ არაფერი გტყენია, ჩემო ხემწიფე!

თეიმ. (ძლიან ამობაიყენებს) აა-რაფერი... არაფერი.

ივანე. (მაქსიმეს) შე კაცი, ნელა უნდა გამოგეწია, რავა დეტეკე კამბეჩივით!



მაქ. (თავისთვის) თქვენი ოჯახი ამოავდო ღმერთმა, თქო დამიკარეს. (ფანჯეს) შენი ბატონის ამბავი შენ თუ არ იცი, მე საიდან მეცოდინება?

ივანე. (წერამის კალთაი) ვევიბლაჟ, შენმა მზემ! ჩემი ბატონი უბრალო ვინმე არ გეგონას,—მეგას მთელი კანკასია იცნობს, შენმა სიცოცხლემ.

თეიმ. (მაქსიმეს) არა, ამას არ მეველოდი ჩემო, ჩემო... შენი სახელი?

მაქ. მაქსიმე გახლავთ.

თეიმ. ჰო, ჩემო, ჩემო მაქსიმე! ამას არ მეველოდი შენგან. ქალაქში ამხელა კაცი ჩამევედი და რაღა აქ შამომიყვანე კ...კატების საძრომილაში?

მაქ. (მიხედ-მოხედვას) თუ არ მოგწონთ, ბატონო, სხვა ოთახში გადავიყვანო.

ივანე (სსჩარათ) რას მასხარაობ, შე ოჯახაშენებულის შელო, გინდა, რომ კიდევ კარებში გავიკვებოთ?

თეიმ. ოჰ, აქიდან ღმერთმა ნულა გამიყვანოს ახლა, აქაც ძლივს შემოვედი. (მუხტელ-ზე სეფს ისეჟმს) ფა...ფაში გამისკდა ღარძე (ამაბათყინებს), მარა ე, ე კარები, კარები უნდა გავგვანიერებია.

მაქ. ამის გამკეთებელს ასე გაუტკებთ ბატონო! ბევრი ხალხი ყოფილა აქ, მარა ამისთანა საქმე ჯერ სხვას არ დამართნია.

ივანე. იიმე, შე კაი კაცო! სხვა და ჩემი ბატონი ერთია? თეიმურაზ თეიმურაზის ძე თეიმურაზიძე მთელ კანკასიაში მეორე აღარ არი, ჩემო მაქსიმე, მარა გული სწორეთ ნურაღის ნუ დაწყდება, შენმა სიცოცხლემ.

თეიმ. (ეშში შესული) აჰაი დედასა! (ზე-ზე წაბადვებს და ქულს მოახდის) დაბებრდი, თვარა ჩემთან ვაჟ...ვაჟკაცობას ვერაინ დეიკვებდა. (დაჯდება და დინჯებს შემადგამს)

მაქ. (თავისთვის) კაი ღმერთმა შენ მოგცეს, კაი ვაჟკაცი ახლა შენ იყო, კოლოტს მიგიგავს მუცელი.

ივანე. რამ დავაბერა, ბატონო. აჰაი დედა ჩემის ღმერთსა! ბარე ორსა და სამ ახალგაზრდას ჯობიხარ კიდე, შენი თავი ნუ მომიკვდება.

თეიმ. (მკლავებს დახსრევს) ჰოო, არც

ისე მოტეხილი ვარ ჯერ; მაგრამ, მაგრამ მაინც.

მაქ. (თეიმურაზს) ხომ არაფერს მიირთმევთ, ბატონო, მოგზავრობამ მოშეება იცის.

ივანე. მაქსიმე, შენი ჰირიმე, ბატონ თეიმურაზს ძალიან უყვარს სუკის წვადი, წითელი ღვინო და ზუთხი ძმარში გაკეთებული. (თავისთვის) გვბატეობს და რა შენადლეება!

მაქ. (თეიმურაზს) რაც გენებოთ, ბატონო, რანიარი საქმელი ან ღვინო გინდოდეთ, ზაკაზი მიბრძანეთ და ამ სათში მზათ იქნება.

თეიმ. (დომილით) იიმე, იიმე, ჩემო... ჩემო... სვიმონ! სა...სადაური ხარ შენ, ჰა, სადაური?

მაქ. მაღლაკელი, ბატონო!

ივანე. იიმე, შე კაი კაცო, მეზობელი ყოფილხარ თითქმის ჩვენი.

თეიმ. ჩვენებური ყოფილხარ, იმერელი. მეც იმერელი აზნაუშვილი ვარ, დიდებული აზნაურიშვილი თეიმურაზ თეიმურაზის ძე თეიმურაზიძე. რომ გადმოიკლავები კორტოხს, იკითხე: ვინ არი ქუთუთისის გუბერნიაში დი...დიდებული მამულიშვილი და აზნაუშვილი თქო, ყველა გეტყვის: თეიმურაზ თეიმურაზის ძე თეიმურაზიძეა. არა, ივანე?

ივანე. იიმე. ბატონო! მერე კანკასიაში გავარდნილია შენი სახელი და ხმა, შენმა სიცოცხლემ.

თეიმ. ჩემო, ჩემო სვიმონ.

მაქ. (დომილით უსწორებს) მ.ქსიმე გახლავარ, ბატონო!

თეიმ. ჰო, ჩემო, ჩემო მაქსიმე! არ გავიგონია განა ჩემი სახელი?

მაქ. არ გამიგონია, ბატ...

ივანე. (გააწვევტილებს და დაბადი ხმით) კი გამიგონია თქო, კი თქო, თვარა ეწყინება.

მაქ. (ჩქარა) კი გამიგონია, ბატონო, რაღა არ გამიგონია!

თეიმ. (გაუფიქრებლად კალთაი) ჰოო, რაღა არ გავგვინება! (უცებ სსე შეეცვლება) ჩემო... ჩემო სვიმონ.

ივანე. მაქსიმე ქეია, ბატონო, მაქსიმე.

თეიმ. ჰოო, ჩემო მაქსიმე, ის ხომ არ გავიგონია: თეიმურაზი დაბებრდა, გამოყრუვდა და ახალგაზრდა ქალი შეირთოვო!



ივანე. (მაქსიმუს ჩუმად უძახის) არა თქვა, არა თქო.

მაქ. მაგისტანა არაფერი გამიგონა, ბატონო!

თეიმ. არც ის გაგიგონია, თეიმურაზის ვაჟიშვილი სხვისი შექმნილიაო, ჩემო... ჩემო...

ივანე. (გააწყვეტიანებს) იიმე, იიმე! რა ვეკადრება, ბატონო, შენი ჭირიმე იმის საჭევეწონთ გამოტანა, რასაც ჭირიკანა დედაკაცები იტყვიან? (მაქსიმუს) აბა შენი ჭირიმე, ჩემო მაქსიმე, მოგვიტანე ზუთხი, წვადი, ღვინო, რაც თავიდათავი იყოს და შენც ქე მოგვიჯექი გვერდში, აქ შენი სტუმრები ვართ და ჩვენსა რო გვეწვევი, ქურის თავზე გავიშლი სუფრას მარაწი, შენ ნუ მომიკვდები. (მაქსიმე გადას)

თეიმ. დავახსი ჩემ მტრებს თავსხლაფი ჰა, ივანე!

ივანე. კი ბატონო, კი, შენი ჭირიმე; მეც დავახსი იმათ თავსხლაფი, თქვენმა სიცოცხლემ.

თე მ. დაბერდაო, დაბერდაო, ჰა, ივანე, და ვერ მოვაგველე თვრა...თვრაშეტი წლის გოგო?

ივანე იიმე, მერე რა ქალი, შენი ჭირიმე, სწორეთ რო მოწყვეტილი მარსკლავია, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ. სიბერისაგან კუკუხოს ველარ ანძრევსო და ხო გამოვავორებე წლის თავზე კი ვაჟიშვილი, ჰა, ივანე!

ივანე. იიმე, მერე რა ვაჟიშვილი, შენი ჭირიმე, პირწავარდნილი მამათქვენი, თქვენმა სიცოცხლემ, პირწავარდნილი მამათქვენი, დაადგა იმის სულს ნათელი.

თეიმ. ჰა, ივანე, ერთი შენ მითხარი, თუ მართლა დაბერდი და კუ...კუკუხოს ველარ ვანძრევე, ვაჟიშვილი რითი გამოვა...ვაგორებე ჩემს... ჩემს მარგალიტას?

ივანე. იიმე, რა ვა, ვეკადრება, შენი ჭირიმე, შენი სიბერე ვისგან თქმულა, მარა მტერი, ჩემო ბატონო, მტერი, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ. ჰოო, ივანე, მტერი, მტერი. სულ, სულ მტრის ბრალია.

ივანე. შენისთანა დიდკაცს დადევს მტე-

რი, ჩემო ხემწიფე, თვარა მე აბა ვის გავახსენდები!

თეიმ. კი ვიცი, ჩემო... ჩემო ივანე, ვინც მიმტრო, სულ ჩემი ბებერი დისა და სიძის საქმეა. ეგონათ: თეიმურაზი ჯიქოდ გადავიდა და ჩვენ დაგვრჩა იმისი საცხოვრებელიო, მაგრამ ღმე...ღმერთმა სხვაანირად ინება, ვენაცვალე ი...იმის სახელს. მაშინ რო ვედარას ვახსენებ და ვითამ ჩირქი მამსხეს, ჰა, ივანე, მამცხეს: ვაჟი მაგისი კი არა, არ...არჩილ გუნცაძის, გუნცაძისააო, ჰა, ივანე!

ივანე. რა ვა ვეკადრება, შენი ჭირიმე!..

თეიმ (გაჩხარებულად ზეზე წამადგება) ჰა, ივანე, თუ...თუ მართლა არჩილისაა, მა...მამაჩემს რანაირათ გამეგებენა, ჰა, ივანე!

ივანე. რა ვა ვეკადრება, ბატონო, პირწავარდნილი მამათქვენი, თქვენმა სიცოცხლემ,

თეიმ. (დაჯდება) ჰა, ივანე, გასკლონ ახლა, გასკლონ ჩემი მტრები გულზე, ჩემი და დარეჯანი და სიძე ი...ისონი.

ივანე. ყველა თქვენი მტერი და მოლატე ღმერთმა ზედ შუაზე გატკვილიცოს, თქვენმა სიცოცხლემ.

თეიმ. მე რომ ჩემი მარგალიტა მომეხვევა ხოლმე, ივანე, და ტუ...ტუჩებში, ტუჩებში მაკოცებს, ჩემო მურკაო, ჩემო მურკაო, ჩემო... ჩემო მაშკა ღორივო, ყველა ახალგაზრდებო შენ... შენ გენაცვალისო, ჰა, ივანე.

ივანე. საგანგებო რამე ქალია, თქვენმა სიცოცხლემ, საგანგებო.

ავ. კახიანი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მ ზ ი ს კ ე ნ...

მზისკენ მივალ, მზეს ვეძებ,
მზისაგანვე შობილი;
მზეა ჩემი ხატება,
ჩემი მუზის დობილი.

* *

მზის სიყვარულს ფიქრათ ვქსოვ,
მზისავ აღმაფრენითა,
მზეს მზისათვის ვლოცულობ
მზის სხივების ენითა!

იკნა ფშაველი

გ უ ლ გ უ ლ ს

სიყვარულის მგოსანო,
კურთხეულო ზენითა,
ოცნებისა ფრთოსანო,
ჯადოსანო სმენითა,—
გამაგონ შენი ხმა,
მაგ მოშაქრულ ენითა
და წარიღე გულის-თქმა
შორს... შორს აღმაფრენითა!

მეც შენებრ ვარ დასჯილი,
საესავო სულისა,
მეც შენებრ მწვეავს სახმილი,
სევდა სიყვარულისა;
მაგრამ ვინ განმიკურნოს
მე, იარა წყლულისა,
შეგება ვინ დამიბრუნოს,
სიყრმის გაზაფხულისა?

შენ, თუ ზეციურ გზებით,
ამუსიკებ ენასა,
სანეტარო ჰანგებით,
ჰხიბლავ არსთა სმენასა—
მეც მასწავლე, რომ სულით,
შევეურთდე ზენასა,
მღერით გაყვე-გამოგყვე,
ცრუ საწუთროს დენასა!

ვიცი, მალხაზო, ჩენი
სიციცხლე ერთგვარია:
ხორცსა ჰკლავს მიწის სენი,
სული—ცას აბარია;
მაგრამ შენი სოფელი
უღარდელი, წყნარია,
ჩემი—(ცეცხლის მშობელი
და, ვით ელვა, ჩქარია!

მე მიყვარს ეს სიქარე:
ცვლა დღისა და ღამისა,
სიყვარული ტკბილ-მწარე,
ტკობა ყოველ წამისა;
საყვარელთან ლაღობა,
ჩქერა ენების ნამისა,
გრძნობის ხმათა ვაღობა,
სიცილქე სიამისა...


სიზმარივით მიფრინავს
მაშინ, ეტლი ჟამისა!

და ვაზისა ჩრდილებში,
როცა შენი ხმა წყნარი,
კენესი ამ ჩემს ფიქრებში,
ზეციური, ნარნარი,—
თვალთ წინ მიდგება სახე
სიყვარულის, დამწვარი:
არ თავდება სამოთხე,
არ სჩანს კიდე საზღვარი...

მაშ მასწავლე!.. და ვფოცავ:
სულს სიამით ავაფრენ,
სათნოებს დავიცავ,
სიმაართელსა აღვადგენ
და ტკბილ სიციცხლის ხმასა,
კილით-კიდეს მოვაფენ...
მაშინ მთელ ქვეყანასა
შენზე უკეთ მოვალხენ!

განა მე-კი არ ვიცი,
მაგრამ ტყვე ვარ სოფლისა:
არც სიყვარულის ფიცი,
არც აღერსი მშობლისა!
აქ ბატონობს სურვილი,
ყველა ყრუ და ოხრისა
და მით შრება წყურვილი,
ზეცის მუშის ოფლისა!..

ეჰ, ბუღბუღო, ბუღბუღო,
კურთხეულო ზენითა,—
მიძმე, ერთად ვიმღეროთ,
ერთი ხმით და ენითა:
სანეტარო ჰანგები,
ხალხს ვასმინოთ სტვენითა,
გაუეჭარვოთ დარდები,
აღუამაღლოთ სმენითა
და, დროს გავეყვით ვაღობით
შორს... შორს, აღმაფრენითა!



Handwritten signature in cursive script.

მისი ნაწერების გამოცემის გამო

ხეალ, 2 ივნისს

დრამ. საზ-ის საღამოში მონაწილეობენ



მომღერალი ი. სარაჯიშვილი



ლოტბარი

ი. ფალიაშვილი



მომღერალი

გ. ღვინიაშვილი

მეფე მგონანი

ინდოეთის მბრძანებელს უზომოდ უყვარს თავისი სატრფო, მზეთუნახავი სეტარება.

„შეიქმენ მგონად, რომ შენი სიტყვა ქვასაკ-კი ცრემლს ჰგვრიდეს, მიშოენე ხელუხლებელი მარგალიტები და მაშინ ვიქმნები შენი“ — უპასუხა ნეტარებამ, როდესაც სახელგანთქმული მეფე თვალცრემლიანი, მუხლმოდრიკილი სიყვარულს ემუდარებოდა.

ნაღვლიანი, ჩაფიქრებული დადის თავის დიდებულ დარბაზში ინდოეთის მბრძანებელი. ერთს დროში ლამაზი, ახოვანი, ახლა მოჩვენებას დაემსგავსა. აღარაფერი ახარებს მას. ძხლებდენი-კი დაითხოვა, არ ჰსურს ადამის მის ნახვა.

საღამოს ჟამია. მომხიბლავი, ტკბილ დარდების მომგვრელი, მისის საღამო. ნაღვლიანი დადის თავის ბაღში ინდოეთის მბრძანებელი.

გაგეებით უყვარს თავისი სატრფო — მზეთუნახავი ნეტარება; სიცოცხლეს ურჩევნია მასთან ყოფნა, მასთან აღერსი, მაგრამ როგორ გახდეს მგონად ან როგორ იშოენოს ხელუხლებელი მარგალიტები?

კარგა ხანი იარა მეფემ ბაღში. უტბად ერთს კუთხეში მოხუცი შეამჩნია. შეკრთა მეფე. თვალგებ-ჩაეარდნილი, სახე-გაყვიითლებული, ძონძემში გახეული მოხუცი მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. ინდოეთის მბრძანებელს მის გვარი არა ენახა რა თავის სიცოცხლეში.

— ვინ ხარ, მოხუცო? ან ჩემს ბაღში საიდან გაჩნდი? ჰკითხა გაკვირებულმა მეფემ.



— დიდებული მეფე, ჩემი სახელი არაფერს გეტყვის, თუმც კი ყველა მცნობს: მე ტანჯავა მქვიან.

— მერე რად მოსულხარ აქ, ჩემს ბაღში, ჩემთან?

— მეფე, თუმც ჩემთან მყოფი ჩემს წყევლაშია, მაგრამ თუ ვისმეს ჰსურს, უნდა მიაღწიოს თავის მიზანს, ის შემცდარია. მე ვარ მკედელი, მხოლოდ სულია. შენ გინდა ვახსნე მგოსანი, მაგრამ თუ მე არ გადავადნე შენი სული და გული, მიზანს ვერ მიაღწევ. მე მსურს გიშველო.

მეფემ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ტანჯავა ჩაჰკიდა ხელი და გაიტაცა შორს, თავის საბრძანებელში. მთელი ღამე დაჰყო მეფემ ტანჯვის სამეფოს. დილის რიგრაგუნდ იგი დაბრუნდა თვის სასახლეში. გზაში შეჰხვდა თავისი სატრფო, მშვენიერი ნეტარება, მაგრამ ის იყო მეფე აღელვებული ნახულით, რომ ვერც კი შეამჩნია. ნეტარებამ გააჩერა მეფე და ჰკითხა მიზეზი. მეფემ უამბო ყოველივე, რაც კი იმ ღამეს ნახა და იგრძნო...

... და მოთხრობა მისი იმდენად ლამაზი და ამბოღოვებული იყო, რომ თვით მეფეს ცრემლი სდიოდა და ეს ცრემლები, მარტოტებად ქექულნი, ნეტარებას ფერხით—ფიანდაზად ეშლებოდნენ.

მხოლოდ მაშინ დააჯილდოვა ნეტარებამ ინდოეთის მბრძანებელი.

ლევ. ვარსიაშვილი



სატიანსტრო ხელოვნება ქართლში

ხშირად, ძლიერ ხშირად მოჰკრავთ ყურს საყვედურებს ქართლელთა უკულტურობაზე, თანამედროვე ცხოვრებიდან ჩამორჩენაზე და ბევრს სხვას, რასაც იშვიათად გაიგონებთ სხვა მებზობელ ხალხზე. ყოველივე ეს იმისი ბრალია, რომ ქართლში, რომელიც ყველა კუთხეებზე უფრო მეტად თხოულობს კულტურის შთანერგვასა და განვითარების საზრდოს, მეტად ზარმაცი და ინტრიგანობით გამსჭვალული ინტელიგენცია სცხოვრობს, ძლიერ მცირე რიცხვის გამოჩაკლისით; ყველა, ვისაც-კი შეუძლია საზოგადო ასპარეზზე თამაშად გამოსვლა და მე-

ზობელ ხალხის საკეთილდღეოდ შრომა, ის საკუთარ საქმეებშია ჩაფლული, ხალხის უკულტურობა არ აფიქრებს და სრულებით დაიწყებია თავისი პირდაპირი მოვალეობა. მეორე ჯგუფი-კი, რომელიც მეტად მცირე-რიცხოვან რაზმს წარმოადგენს ქართლში—სოფლის მასწავლებლები, სოფლის შეგნებული პირები და ინტელიგენტი ქალები, საზოგადოებას თავგამოდებით ემსახურებიან, აარსებენ საზოგადო დაწესებულებათ, ხსნიან სასწავლებლებს, საკრედიტო ამხანაგობებს, აარსებენ სცენის მოყვარეთა წრეებს, წელებზე ფენს იღამენ და ასე თუ ისე, ყველა სასარგებლო საქმეებს ხელმძღვანელობენ, მაგრამ ამ ჯგუფს ხშირად ისეთი ხელოვნურად შეთხზული დაბრკოლებანი ელობებთ წინ, რომ მეთაურნი ძალაუვნებურად იძულებულნი ხდებიან მოქმედება დროებით შეაჩერონ. ეს არის მიზეზი, რომ ხალხის განვითარება და კულტურის შთანერგვა ქართლში კუს ნაბიჯით მიმდინარეობს: პროგრესს რეგრესი ელობება წინ და ხალხს პირველყოფილ ადამიანთა კანიდან გამოსვლა ვეღარ ეღირსა.

ინტელიგენციის ერთი ჯგუფი ამ ბოლო ხანებში მაგარად მოეცა ქართლში სათეატრო ხელოვნების გავრცელებას და ბევრ ადგილას დაარსდა: დრამატული საზოგადოებანი, წრენი თუ სცენის მოყვარეთა ჯგუფნი.

აქ აღწუნსხვად უფრო თვალსაჩინო პუნქტებს სათეატრო ხელოვნებისას ქართლში, სადაც მან ცოტად თუ ბევრად ფეხი მოიკიდა და ცოტათდენი ნაყოფიც გამოიღო.

დაბა ბორჯომში—ეს მესამე წელიწადია არსებობს დრამატული წრე, ადგილობრივი და რამდენიმე სოფლის მასწავლებელთა თაოსნობით შემდგარი. აქ შემქნილი აქვთ ისტორიული ტანისამოსები, რეკვიზიტა და დრო-გამოშვებით სდგამენ იაფ-ფასიან წარმოდგენებს. ამას ხელს უწყობს ორი, მშვენიერ დეკორაციებით მოწყობილი, სცენა: ერთი მინერალურ წყლების პარკში,—დიდი მთაერისა,—და მეორეც ადგილობრივ საზოგადო საკრებულოში, სადაც ყოველგვარი პიესის დადგმა შეიძლება. თვით წრე ინეთიერად ღაბობია, არც რიგიანი სცენის მოყვარენი ჰყავს, მარა მინც ხალხს გონებრივ საზრდოს აწვდის და ასე თუ ისე სულდგმულობს.



დ. სურამში—ამ ოთხი წლის წინად, ბ. გ. შალიბაშვილის თაოსნობით დაარსდა დრამატული საზოგადოება, წევრადც ბევრი ჩაეწერა და პირველ ხანობაზე საქმე მშვენიერად მიდიოდა: სისტემატიურად სდგაოდენ შინაარსიან პიესებს, ეხმარებოდნენ ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებათ, მოსწავლეთ ახალგაზრდობას და უფრო თვალსაჩინო ადგილს დიკავებდა; რომ გამგეობაში ინტრიგას არ ეჩინა თავი ბოლოს პირად კინკლაობას დაედო მსხვერპლად ეს სასარგებლო დაწესებულება. დღეს, თუმცა ოფიციალურად ისევ არსებობს გამგეობა, მარა ფაქტურად არ-მოქმედებს და კარგა ხანია სისხან დადგმული წარმოდგენა არვის უნახავს.

დ. ხაშურში — აპრილში 1913 წ. სცენის მოყვარეთა და საზოგადოების ერთი ნაწილის შეერთებულმა კრებამ დაადგინა დრამატული წრის დაარსება, შემომუშავა, დადასტურა შესაფერი წესდება და მაშინვე აღძრა შუამდგომლობა, სადაც ჯერ იყო, მის დასამტკიცებლად. თბათვეში იმავე წელს—საზოგადოებამ მიიღო წესდება, ამოირჩია ინტელიგენტ პირთაგან შემდგარი გამგეობა, შეაკავშირა პირობით სცენის მოყვარეთა საუკეთესო ძალები, მოიწვია თბილისიდან მსახიობი ქალი და შეუდგა მუშაობას. თუმცა წრეს საკუთარი სცენა არ

გაღო დაწესებულებას გაუწია წრემ დახმარება. ათი თვის განმავლობაში 20 წარმოდგენა გაიმართა (რამდენიმე სახალხო იაფ-ფასიანიც) და არც ერთ შემთხვევაში მოთამაშე სცენის მოყვარეთ თავინთ მოვალეობისათვის არ უღალატნიათ, იმის და მიუხედავით, რომ არც ერთ შემთხვევაში რიგიანი ხელმძღვანელი-რეჟისორი არ ჰყოლიათ. წრემ შეიძინა ისტორიული ტანისამოსები, იარაღები, ინვენტარი და ბევრი საქორა რეკვიზიტი. პირველ ხანობაზე საქმე მშვენიერად მიდიოდა, მაგრამ, საუბედურად, აქაც იჩინა თავი ჩვეულებრივმა სენმა. გამგეობის ზოგიერთა წევრს მოსწყენდა მუშაობა, წარმოდგენებმა იკლო, გამგეობა და სკენის მოყვარენი ჯგუფებთა დიკვენენ და წრის მოქმედება დროებით შეჩერდა. თუმცა ხსენებულ წრის გამგეობა ოფიციალურად არ გაამდგა, მაგრამ ფაქტურად არას აკეთებს და თუ განახლება არ მოხდა, წრეს ვაკოტრება მოელის. საბედნიეროდ, ხაშურის სცენა მეტად კარგი მომზადებული და შეგნებული ელემენტებისაგან შესდგება და ი ამით გადასწყვეტეს გამგეობის გადახალისება და ამ მოკლე დროში წრე ხელახალ მოქმედებას დაიწყებს. ხსენებულ წრეს ჰყავს ამ ეამდ 50 წევრი და 20-მდე სცენის მოყვარე.

დ. ხაშურის ქართულ წრის გამგეობა და სცენის მოყვარენი

პირველ რიგში უკან სდგანან მარჯვნიდან მარცხნივ: გ. ვეზირიშვილი, გ. ლევდარიანი, ა ქუთათელაძე, ს ლევდარიანი, სტ. ნოზაძე (ფონ-ტეფო), გ. ჯაფარიძე, ა. კორძაია, ვ. ტყეშელაშვილი და პ. რუსია. მეორე რიგში სხდან: თამ. დავითაშვილი, მ. რატინისა, კ მწლადე, მ. რატინი (გამგეობის თავმჯდომარე), თ. აფხაზიშვილისა, ტრ. ჯაფარიძე და დ. ჯუღელი. სულ წინ სხდან: ვ. გოგიშვილი, ნიკო სიხარულიძე (მდივანი გამგეობისა), ს. სიხარულიძე, ელენე ნოზაძე, ვ. კვალიაშვილი, ან. ტელიძე, ნ. თევდორაშვილი და მ. კვალიაშვილი.



მოგეობოდა, მარა სამაგიეროდ აქ ორი სცენა არსებობს: ერთი ჯაფარაშვილისა და მეორეც რკინისგზის საკრებულოსი, სადაც სისტემატიურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები, ხალხიც ბლომად ესწრებოდა და ბევრს საზო-

ქ. გორში—(რომელიც ითვლება მთელი ქართლს ცენტრად და დედა-ქალაქად) არსებობს რალც დრამ. წრისა თუ გამგეობის მინაგვარი საზოგადოება, სცენის მოყვარენიც მოიპოვებინან, შესაფერი სცენაც, მაგრამ მუშაო-



ბა არა სჩანს და ძლიერ იმეცითად იღმის წარმოდგენები. ერთის შეხედვით თითქოს ინტელიგენცია ბევრია იქ, მცხოვრებლებიც და კულტურული დაწესებულებებიც, მაგრამ სათეატრო ხელოვნებამ ვერ მოიკიდა იქ ფეხი და, ცოტად თუ ბევრად რიგიან პიესებს, ისევე თბილისიდან ჩამოსული მსახიობნი თუ აღირსებენ ხოლმე გორველებს.

დ. ცხინვალში—არსებობს სცენის მოყვარება წრე და რაც შეეფერება მიყარდნილ პროვინციას, საყვედურს ვერ შევახედრებთ უმოქმედობაზე: აქ შეძლების დავგარად მართავენ ქართულ წარმოდგენებს.

ესევე იოქმის დანარჩენ დაბა-სოფლებზე და თუმცა უმეტესობას არა აქვს არც სცენა და არც სხვა მოწყობილება, მარა ზაფხულობით, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობა თავს იყრის სოფლად, კავშირდებიან, ხშირად უქალობისა გამო, თვით ვაგები ასრულებენ ქალების როლებს და ამნარად თვითონ წარმოდგენას მინიკ აწვდიან ხალხს. რა თქმა უნდა, აქ შინაარსიან და სასარგებლო პიესებზე მეტია ლაპარაკი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობა ტყუილ-უბრალოდ არა ჰკარგავს დროს და სოფელს თეატრალურ ხელოვნებას აცნობს. ყველაზე დიდი შრომა იაფფასიან და უფასო წარმოდგენების მართვაში-სოფლად, მიუძღვით სოფლის მასწავლებლებს და დაფნის გვირგვინიც მათ ეკუთვნით.

ვისაც პროვინციაში უმუშავნია ამ ასპარეზზე, ბევრგვარ დაბრკოლებასთან მოუხდებოდა მის ბრძოლა და უმთავრესად-კი სცენის მოყვარე ქალების კრიზისი იქცევს ყურადღებას. ერთ პიესას ვერ დასდგამთ პროვინციაში, რომ მოთამაშე ქალების მხრივ დაბრკოლება არ შეგზგდეთ და აი ამის მიზეზით ხდება ის სამწუხარო მოვლენა, რომ სცენის მოყვარენი ხშირად შინაარსიან ორიგინალურ, ანუ მხატვრულ პიესებს ვერ აწვდიან პროვინციელთ.— ეს სამწუხარო მოვლენა უნდა მივაწეროთ ჩვენი ქალების კარჩაყეტილობას, თუმცა თანდათანობით ისინი ერკვევიან, ეჩვევიან სცენას და შეიძლება დადგეს ის სანეტარო დრო, როდესაც ჩვენი ქალებიც პროვინციაში შეიგნებენ

თეატრის მნიშვნელობას, თამამად გამოვლენ საზოგადო ასპარეზზე და პროვინციალურ სცენას მნათობ ლამპრად მოველინებინ.

პროვინცია საქირებს თეატრს, საქირებს გონებრივს საზრდოს და მოკირანახულებნი-კი ნაკლებათ მოიბოებინ.

ნიკო გურული

წ ვ რ ი ლ ი ა მ ე ჯ ი

► **იუმორისტულ-მუსიკალური საღამო ქართ.**
დრამ. საზ-ის სასარგებლოდ გაიმართება ხვალ, ორშაბათს, **2 ივნისს**, ქართულ თეატრისა და „ახალი კლუბის“ სახანო და სახანულო შენობებში. საღამო ყოველმხრივ საკულისხმო პროგრამითაა შედგენილი, მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის: „ახალი კლუბის“ სიმფონიური ორკესტრი **ვანო ფაღიაშვილის** ლობტარობით. მომღერლები—**ვანო სარაჯიშვილი** და **გ. ღვინიაშვილი**, იუმორისტულ განყოფილებაში—**შალვა შარაშიძე** თავის საკუთარი პროგრამით და სხ. საღამოს მოწყობა დავალებული აქვთ: **ალ. წუწუნავას**, **მ. ქორიძესა** და **შალვა შარაშიძეს**. გამართულ იქნება კოსკები, ლუქნები, ამერიკული ნაბრთი, სამასარაუბი, მომგებიანი ლოტო და სხვა ბევრა გასართობი.

► **დავით ნახუტაიშვილი** სწერს ახალ ისტორიულ პიესას „პატას შეთქმულება“, რომელშიაც დასურათებულა ერეკლე II-ს მეფობა და მის წინააღმდეგ შეთქმულება, ევროპაში განათლებულ ბატონიშვილის პატას მიერ მოწყობილი, რომელსაც ერეკლე მეფის დახმობით საქართველოში ახალი ევროპიული წყობილება უნდა შემოედო.

► **იტალიის გამოჩენილი მუსიკოსი პუჩინი** ამ მოკლე ხანში თბილისს ესტუმრება თვისი ახალი ოპერისთვის კავკასიურ მოტივების შესაკრებად. საქირთა ჩვენმა მუსიკოსებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწვიან, რომ ჩვენის მუსიკის დასაფოლად უფიციკმა შეიკლამაში არ შეიყვანონ.

► **ქართული თეატრის ისტორიის** დასაწერად მასალებს აგროვეს ვიორჯი **ალ. ჯაბაძარი**, პარიზის თეატრის „ოდონის“-ს რეჟისორის თანაშემწე. ზოგიერთი ცნება პარიზში უნახავს, უცხო ენაზე. საქირთა ჩვენის თეატრის აღორძინების შესახებ ყოველგვარი მასლა (ძველი ადგილები, პროგრამები, რეკენიები და სხ. ნი-იან წლებიდან მოყოლებული). მასალები ჩვენის რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს. სარგებლობის შემდეგ უნაქედ დაუბრუნდებათ.

► **ქუთაისის დრამ. საზ-ის დასში** მომავალ სეზონისთვის იწვევენ **დ. მგალობლიშვილს** და **გ. არაღელ-იზნენლს**.



იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს საკანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰქვავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი შვიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მეცანსნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ. (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტონაში და იოსებ იმედაშვილისა („სორაზნის“ სტამბაში) დილით 10—2 სათამდე, საღამოს 5—7 სათამდე. წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифლის, ред. жур. „Театри да Цховреба“ იოსიფ იმედაშვილი. ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41 რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი **თეაი** წელიწადი
მეოთხე მეოთხე
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
ბამოლის ორშაბათობით

წლიური ხელის მომწერელი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აქაქის პოემა „რამა-ლმჩხუმი“, რაკა-ლინხუში მოსი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კეთხის რუკა; 2) ნ. დ. ლუბარცხის თხზულებას „პაგუსტ ბეპალი“, რომელიც საკუთრად „თეაი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თეაი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დღის 10 საათიდან 1 სათამდე.

მისამართის გამოცემა თბილისს ვარკუე 40 კ. მისამართი: Тифლის, Ольгинская № 4, დ. Диасамидзе, редакция газ. „Теми“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

იმაერთი ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით
წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბანი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნისაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადც შეიძლება.

მისამართი: Кутаис, ред. газ. „Имерети“.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჯელოძე

ბამოლის ჟურნალში ვ მარტიდან ორშაბათობით

„ურგომა“

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ. 3. ფერაჰის ლა ნ. კარნაუბოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаис, ред. еженед. груз. газеты „Шрома“.



ექიმი ა. ო. იაშვილი

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოს)
კანის, ვენერული და ათაშნგისა
შუადღით 1—2 1/2 ს., საღამოთი 6—8 ს.
მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. ზ. გომარეთელი

შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

ექიმი ვ. დ. ლაბაზიძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის.
ვარდის უბნის ქ. № 9.

ექიმი ბ. ზ. მაღალაშვილი

შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

ექიმი ნ. ვ. სიკინაძე

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებათა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კიროვნი ქ. № 18.

ექიმი შ. ა. გიგელაძე

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16

ექიმი ბ. ვ. ნათიშვილი

კანისა, ვენერული და სიფილისის
დილით 11 1/2—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონთეპერტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.



ხელოვნურად სამკურნალო და

შეზავებული ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლალიძე დამ.

შზადდება საუკეთესო ხილეულის წვენიდან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდნილი და ნაღული წყლით.

გამო და სუნი საამჟური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მშართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.
(20—12)



**პ. ვახტანგ ლაბაზიძის
სანატორიუმი**

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ. ვახტანგის ქ. 5 წლამდე
დაწვრილებით პირობები მსურველთ
გაეზღავებათ ფოსტით მოთხოვნი-
ლებსათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლაბაზიძე
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

(7)

Воспоминанія
И
ХАРАКТЕРИСТИКИ
Г. М. ТУМАНОВА

Есть 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
Сладъ у автора, Барятинская № 6.

(5—6)